



სატელევიზიო თოქ-შოუების საარჩევნო მედიამონიტორინგი

3-23 მაისი 2014

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით CRRC საქართველო ახორციელებს მედიის მონიტორინგს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის“ ფარგლებში. მონიტორინგი უტარდება სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს და პრაიმ-ტაიმის დროს გასულ პოლიტიკურ თოქ-შოუებს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე, აჭარის ტელევიზიაზე, რუსთავი 2-ზე, იმედზე, მაესტროზე, კავკასიაზე, ტვ3-ზე (მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებები) და ტაბულაზე (მხოლოდ თოქ-შოუები). აღნიშნულ ანგარიშში წარმოდგენილია სატელევიზიო თოქ-შოუების მონიტორინგის შედეგები 3 – 23 მაისის ჩათვლით. დაკვირვების ქვეშ მოხვდნენ შემდეგი თოქ-შოუები:

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი: „პირველი სტუდია“ - ეკა მიშველაძე;
რუსთავი 2: „არჩევანი“ - გიორგი გაბუნია, „პოზიცია“ - ნინო შუბლაძე;
იმედი: „პოლიტიკის დრო“ - თეა სიჭინავა, „რეაქცია“ - ინგა გრიგოლია;
მაესტრო: „სუბიექტური აზრი“ - დიანა ტრაპაიძე და თეონა გეგელია;
კავკასია: „სტუდია სპექტრი“ - დავით აქუბარდია, „ბარიერი“ - ნინო ჯანგირაშვილი და ალექსანდრე ელისაშვილი;
ტაბულა: „ფოკუსი“ - მონაცვლეობით უძღვებიან სალომე უგულავა, ნინო მაჭარაშვილი და ირაკლი კიკნაველიძე, „თეორემა“ - თამარ ჩერგოლეიშვილი.

მეთოდოლოგია და ანალიზი

თოქ-შოუების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი მოიცავს მხოლოდ თვისებრივ ნაწილს. მონიტორინგის დროს დაკვირვება ხდება გადაცემის სტუმრებსა და თემებზე და ჟურნალისტებზე, გადაცემის წამყვანებზე. ფასდება, რამდენად თანაბარ პირობებში აყენებს ჟურნალისტი სტუმრებს: ჟურნალისტის კითხვები რამდენად თანაბრად მომთხოვნი/ლმობიერია ყველა სტუმრის მიმართ; რამდენად აცდის თოქ-შოუს წამყვანი სტუმრებს აზრის გამოთქმას და როდის აწყვეტინებს საუბარს. ასევე რამდენად ცდილობს ის სტუმრებისგან სიღრმისეული ინფორმაციის მიღებას და განხილულ საკითხზე

მაყურებლისთვის მრავალმხრივი ინფორმაციის მიწოდებას. ასახელებს თუ არა ჟურნალისტი ინფორმაციის წყაროს კითხვების დასმისას ან კომენტარის გაკეთებისას და როგორია მისი არავერბალური ენა. მონიტორინგი ასევე აკვირდება თოქ-შოუებში სიმულვილის ენის (შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი ფრაზების/განცხადებების) გამოყენებას წამყვანების მხრიდან და მათ რეაგირებას სტუმრების მიერ სიმულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე. ფასდება ჟურნალისტების როლი და ჩართულობა გადაცემის განმავლობაში.

მოცემული ანგარიში მოიცავს თოქ-შოუების მედია მონიტორინგის შედეგებს 3-დან 23 მაისის ჩათვლით.

ძირითადი მიგნებები

ამ პერიოდში პოლიტიკური თოქ-შოუები აქტიურად მიყვებოდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების თემებს. აქტიურად განიხილებოდა ფარული მოსმენების თემა. განშირდა არჩევნებთან დაკავშირებული განხილვები, კეთდებოდა არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და მათი პოლიტიკური გეგმების წარდგენა.

დაკვირვების ქვეშ მყოფი 10 პოლიტიკური თოქ-შოუს უმეტესობაში სტუმრებს შორის წარმოდგენილი იყვნენ ხელისუფლების, ასევე ძირითადი ოპოზიციური ძალების წარმომადგენლები, არჩევნებში მონაწილე მერობისა და მაჟორიტარობის კანდიდატები. არხებისა და გადაცემების ცალკეული აღწერა ქვემოთაა მოცემული.

პირველი არხი

პირველი სტუდია

„პირველი სტუდია“ წარმოადგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის პოლიტიკური თოქ-შოუს, რომელიც კვირაში ორჯერ გადის და აანალიზებს კვირის აქტუალურ მოვლენებს. გადაცემის წამყვანია ეკა მიშველაძე. 3-დან 23 მაისამდე პერიოდში ეთერში გავიდა 6 გადაცემა, რომლებშიც მოწვეულ სტუმრებთან ერთად განიხილეს კვირის მთავარი მოვლენები. გადაცემაში მიწვეული ჰყავდათ როგორც საპარლამენტო უმრავლესობისა და მთავრობის წევრები, აგრეთვე საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და ექსპერტები. ორი გადაცემა დაეთმო არჩევნებში მონაწილე სუბიექტების წინასაარჩევნო გზავნილებს. აგრეთვე, თოქ-შოუში განიხილეს კვირის აქტუალური თემები, მათ შორის:

- ფარული მოსმენები;
- NDI-ის კვლევები;
- საქართველოს საგარეო პოლიტიკა;
- ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება;

- ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა და ნატოს უელსის სამიტი;
- თვითმმართველობის არჩევნები და წინასაარჩევნო გარემო.

„პირველ სტუდიაში“ განიხილებოდა აქტუალური თემები და მიწვეული ჰყავდათ სხვადასხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები, როგორც მმართველი გუნდის, ასევე უმცირესობისა და არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები და ექსპერტები. გადაცემაში მოწვეულ თითოეულ მხარეს ჰქონდა შესაძლებლობა, დაეფიქსირებინა საკუთარი მოსაზრება, ხოლო მაცურებელს შეეძლო მოესმინა მრავალმხრივი ინფორმაცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

წამყვანი აქტიურად იყო ჩართული გადაცემაში, კარგად იყო ინფორმირებული განსახილველი თემის შესახებ და სვამდა ამომწურავ შეკითხვებს. ეკა მიშველაძე სტუმრებს ყოველთვის თანაბარ მდგომარეობაში აყენებდა და თანაბრად აძლევდა საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალებას. ჟურნალისტი საუბარში მხოლოდ მაშინ ერთვებოდა, როდესაც სურდა ახალი კითხვის დასმა, ჩაძიება ან განსხვავებული აზრის დაფიქსირება. თუმცა, ჟურნალისტი უფრო მოდერატორის როლს ასრულებდა და სიმწვავეთა და კრიტიკულობით არ გამოირჩეოდა.

მონიტორინგის ამ პერიოდის მანძილზე თოქ-შოუში არ დაფიქსირებულა თემიდან აცდენა. წამყვანს არ გამოუყენებია ან გაუჟღერებია არასანდო, დაუზუსტებელი და გადაუმოწმებელი ინფორმაცია. არც ჟურნალისტის და არც სტუმრების მხრიდან არ გამოვლენილა სიძულვილის ენის ან არაკორექტული ლექსიკის გამოყენების შემთხვევები.

რუსთავი 2

არჩევანი

„არჩევანი“ ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუა, რომელიც რუსთავი 2-ის ეთერში სამშაბათობით გადის და მიჰყავს გიორგი გაბუნias. მონიტორინგის ამ პერიოდში თოქ-შოუს 3 გადაცემა გავიდა, რომელშიც განხილული იყო შემდეგი საკითხები:

- მოსმენების რეგულაციის კანონი;
- ფარული თვალთვალი რუსთავი 2-ში;
- მიზეზები თუ რატომ გაათავისუფლეს ლალი მოროშკინა თანამდებობიდან;
- ლეიბორისტული პარტიის საარჩევნო კამპანია;
- ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ საარჩევნო პროგრამა;
- პარტიის „ჩვენი საქართველო“ რუსთავის მერობის კანდიდატის საარჩევნო პროგრამა;
- „ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის“ საარჩევნო პროგრამა.

გადაცემა „არჩევანი“ ძირითადად ორნაწილიანი იყო. პირველი ნაწილი მიმოიხილავდა ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ მოვლენებს, ხოლო მეორე ნაწილი მთლიანად ეთმობოდა პოლიტიკური ბლოკებისა თუ პარტიების საარჩევნო პროგრამების პრეზენტაციებს.

თოქ-შოუში მიწვეული იყვნენ სხვადასხვა პოლიტიკური და არაპოლიტიკური წარმომავლობის სტუმრები. სტუმრებს შორის იყვნენ საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლები, თბილისის ყოფილი მერი - გიგი უგულავა, კურიერის მთავარი პროდიუსერი, ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრის ყოფილი მრჩეველი.

გადაცემები საკმაოდ ინფორმაციული სახის იყო. ჟურნალისტი გადაცემაში აქტიურად იყო ჩართული, ხშირად სვამდა კითხვებს და აზუსტებდა ინფორმაციას. მისი კითხვები ძირითადად მომთხოვნი და აქტუალური იყო. გორგი გაბუნია ცდილობდა, სიღრმისეული ინფორმაცია მიეღო სტუმრებისგან და ასევე ოპონირება გაეწია მათთვის. ყოველთვის ინფორმირებული იყო საკითხის ორგანიზაცია და ცდილობდა, ინფორმაციული კითხვები დაესვა ზუსტი წყაროს გამოყენებით. იგი ძირითადად სტუმრებს საუბარს არ აწყვეტინებდა და ბოლომდე უსმენდა მათ.

საარჩევნო პრეზენტაციების დროს რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ, დიდხანს და თავისუფლად ესაუბრათ. ჟურნალისტი თითქმის არასოდეს აწყვეტინებდა საუბარს, მეტ დროს აძლევდა რესპონდენტებს წინასაარჩევნო პრეზენტაციის გასაკეთებლად და შესაბამისად გადაცემაში ნაკლებად იყო ჩართული. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტი დადებითად იყო განწყობილი სტუმრების მიმართ და თუნდაც მომთხოვნი კითხვის დასმის დროს, ხშირად იღიმებოდა.

აღსანიშნავია 6 მაისის გადაცემის პირველი ნაწილი, სადაც განხილული იყო რუსთავი 2-ში აღმოჩენილი ფარული ჩანაწერები. მიუხედავად იმისა, რომ გადაცემის თემა პირდაპირ ეხებოდა ჟურნალისტის პროფესიულ სფეროს, გორგი გაბუნია ინარჩუნებდა ობიექტურობას და ცდილობდა საკუთარი პოზიცია არ დაეფიქსირებინა.

„არჩევანის“ წამყვანი სიძულვილის ენას ან არაკორექტულ ლექსიკას არ იყენებდა. მსგავსი გამოთქმები არც სტუმრების მხრიდან დაფიქსირებულა.

პოზიცია

რუსთავი 2-ის მეორე პოლიტიკური თოქ-შოუ „პოზიცია“, რომელიც ნინო შუბლაძეს მიჰყავდა¹, მონიტორინგის პერიოდში მხოლოდ ერთხელ გავიდა ეთერში, 9 მაისს. გადაცემა

¹ ნინო შუბლაძემ 12 მაისს განაცხადა, რომ დროებით შეწყვეტდა ჟურნალისტურ საქმიანობას.

გიორგი გაბუნას მიყავდა და ეხებოდა ფარული მოსმენების თემას. გადაცემას სტუმრობდნენ უმრავლესობის წევრები მანანა კობახიძე და გედევან ფოფხაძე და უმცირესობის წევრები გიორგი ვაშაძე და გაია თევდორაძე. გადაცემის სტუმრებს ერთმანეთისგან ძირეულად განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდათ, ამიტომ გადაცემა ცხარე დისკუსიის რეჟიმში წარიმართა. თუმცა, წამყვანის მხრიდან არ იგრძნობოდა სუბიექტური დამოკიდებულება თემიდან გამომდინარე. მან თანაბარი დრო დაუთმო გადაცემაში მიწვეულ ორივე მხარეს და ერთნაირად ოპონირებდა სტუმრებთან.

იმედი

რეაქცია

„რეაქცია“ ყოველკვირეული თოქ-შოუა, რომელიც იმედის ეთერში პარასკევობით გადის. მისი წამყვანია ინგა გრიგოლია. გადაცემა რამდენიმე ნაწილისგან შედგება. მასში, როგორც წესი, რამდენიმე სტუმარია მოწვეული და დამსწრე საზოგადოება მონაწილეობს. 3-დან 23 მაისამდე პერიოდში „რეაქციის“ 3 გადაცემა გავიდა ეთერში. წინასაარჩევნო პერიოდთან დაკავშირებით გადაცემის ფორმატი ოდნავ შეიცვალა და თითოეულ გადაცემაში სტუდია ძირითადად პოლიტიკურ პარტიებსა და მათ მხარდამჭერებს ეთმობათ. ამ პერიოდში გადაცემაში თავიანთი პარტიის საარჩევნო პროგრამები წარადგინეს კოალიცია ქართულმა ოცნებამ, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ და პატრიოტთა ალიანსმა. გარდა ამისა გადაცემას ასევე სტუმრობდნენ მთავრობის წარმომადგენლები, საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლები და არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები.

გარდა სხვადასხვა პარტიის წინასაარჩევნო პროგრამებისა, „რეაქციაში“ განხილული იყო სხვა აქტუალური საკითხებიც:

- უკანონო მოსმენები;
- ანტიდისკრიმინაციული კანონი;
- „ქუჩური სამართალი“;
- „რას გვპირდებიან პოლიტიკოსები და რას ვიღებთ“;
- ხელისუფლების წევრების პრემიები.

ინგა გრიგოლია გადაცემაში საკმაოდ აქტიურად იყო ჩართული, სვამდა ბევრ კითხვას და ცდილობდა, ამომწურავი პასუხი მიეღო ყველა დასმულ შეკითხვაზე. ხშირად ჩამიების გზით სტუმრებს დამატებით კითხვებს უსვამდა და აქტიურ ოპონირებას უწევდა, განურჩევლად მათი პოლიტიკური წარმომავლობისა. ჟურნალისტის კითხვებსა და დამოკიდებულებაში არ იგრძნობოდა რომელიმე მხარის მიმართ მიკერძოება ან სუბიექტური დამოკიდებულება.

გადაცემები საკმაოდ დაბალანსებული იყო. იმ შემთხვევების გარდა, როდესაც თოქ-შოუს ბლოკის თემა რომელიმე პარტიის საარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია იყო, ყოველთვის რამდენიმე მხარე იყო წარმოდგენილი. შესაბამისად, მაყურებელს ეძლეოდა საშუალება განხილული საკითხის გარშემო მოესმინა განსხვავებული პოზიციები.

აღსანიშნავია 23 მაისის გადაცემა, რომელიც ეხებოდა როგორც ძველ, ისე ახალ ხელისუფლებას. სტუმრებს წარმოადგენდნენ ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და კოალიცია ქართული ოცნების წევრები. თოქ-შოუ საკმაოდ მწვავე ანონსით დაიწყო. ინტერაქტივის კითხვა იყო: „გაუმჯობესდა თუ არა თქვენი ეკონომიკური მდგომარეობა 1 ოქტომბრის შემდეგ?“ ჟურნალისტი ორივე მხარეს აძლევდა საშუალებას, გაეცათ პასუხი თავიანთი ოპონენტებისთვის. ამასთან, ჟურნალისტი საკმაოდ კრიტიკული იყო და მწვავე კითხვებს უსვამდა ორივე მხარის წარმომადგენლებს. ოპონირებას უწევდა თითოეულ სტუმარს. მის შეკითხვაზე პასუხის შემდეგ ინგა გრიგოლია მოწინააღმდეგე მხარეს სთხოვდა, კომენტარი გაეკეთებინა ოპონენტების პასუხზე. როდესაც სტუდიაში ცხარე დებატები გაიმართა, ინგა გრიგოლია ხშირად მოუწოდებდა მათ ერთმანეთისთვის მიეცათ პასუხის გაცემის შესაძლებლობა. საერთო ჯამში, გადაცემაში ორივე მხარის პოზიცია თანაბრად დაფიქსირდა და საეთერო დროც თანაბრად გაუნაწილდათ გადაცემაში.

გადაცემებში ჟურნალისტი არ იყენებდა სიძულვილის ენას ან არაკორექტულ გამონათქვამებს და როდესაც გადაცემის მონაწილეების მხრიდან ისმოდა არაეთიკური გამონათქვამები, თითქმის ყოველთვის მოუწოდებდა მათ კორექტულობისკენ.

პოლიტიკის დრო

„პოლიტიკის დრო“ ყოველკვირეული თოქ-შოუა, რომელიც იმედის ეთერში სამშაბათობით გადის. გადაცემის წამყვანია თეა სიჭინავა. მონიტორინგის ამ პერიოდში გავიდა 3 გადაცემა. გადაცემებს სტუმრობდნენ მთავრობის წევრები, საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლები, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ყოფილი პოლიტიკოსები და სხვა. გადაცემას ასევე სტუმრობდა საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი. თოქ-შოუ მიმოიხილავდა კვირის მთავარ მოვლენებს. ამ პერიოდში გადაცემაში განხილული იყო შემდეგი საკითხები:

- ფარული მოსმენები რუსთავი 2-ში;
- ქუჩის მართლმსაჯულება;
- პრემიერისა და პრეზიდენტის ურთიერთობა;
- ანტიდისრკიმინაციული კანონი;
- ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები;
- მთავრობის წევრების პრემიები.

„პოლიტიკის დრო“ მთლიანობაში საკმაოდ დაბალანსებული თოქ-შოუა. აღსანიშნავია, რომ გადაცემა გამოირჩევა თემის აქტუალურობით და მოწვეული სტუმრებიც თემასთან რელევანტურები და კომპეტენტურები არიან. ჟურნალისტის კითხვები ყოველთვის განსხვავებული პოზიციიდანაა დასმული, საკმაოდ მომთხოვნი და ინფორმაციული ხასიათისაა. სიჭინავს კითხვებში არ იგრძნობოდა რომელიმე მხარისადმი მიკერძოება. ცდილობდა, ყოფილიყო მოდერატორი და ნაკლებად დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია.

ჟურნალისტი აქტიურად იყო გადაცემაში ჩართული. ხშირად ეძიებოდა რესპონდენტებს მეტი ინფორმაციის მისაღებად ან რაიმეს დასაზუსტებლად. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტი გადაცემის პროცესს უკეთ მართავდა მაშინ, როცა მარტო იჯდა რესპონდენტთან. როდესაც გადაცემაში დებატები იყო, თეა სიჭინავა პასიური მსმენლის როლს ითავსებდა. იყო შემთხვევები, როდესაც სტუმრების ორონიულ და არაკორექტულ მიმართვებზე ერთმანეთის მიმართ რეაქცია არ ჰქონდა ან ეღიბებოდა (6 მაისი).

მონიტორინგის პერიოდში გასული 3 გადაცემის მანძილზე არ გამოვლენილა თემიდან გადახვევის ფაქტი. სტუმრები რელევანტურები იყვნენ თემასთან. სიძულვილის ენის ან არაეთიკური გამონათქვამების გამოყენება არ დაფიქსირებულა არც ჟურნალისტის და არც მიწვეული სტუმრების მხრიდან.

მაესტრო

სუბიექტური აზრი

თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ მაესტროს ეთერში ყოველ სამუშაო დღეს გადის. გადაცემის წამყვანები თეონა გეგელია და დიანა ტრაპაიძე არიან. გადაცემა გაყოფილია ორ ნაწილად, რომლის პირველ ნახევარში წამყვანები განიხილავენ დღის ახალ ამბებს, მეორე ნაწილში კი სტუმრებთან ერთად აგრძელებენ აქტუალურ თემებზე საუბარს. მონიტორინგის მეორე მონაკვეთში, 3-დან 23 მაისამდე პერიოდში „სუბიექტური აზრის“ 14 გადაცემა გავიდა, რომლებიც გამოირჩეოდა როგორც სტუმრების, აგრეთვე განსახილველი საკითხების მრავალფეროვნებით. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ საპარლამენტო უმრავლესობის და უმცირესობის წევრები, არასაპარლამენტო ოპოზიცია, მერობის და მაჟორიტარობის კანდიდატები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და საკითხის ორგვლივ სხვა დაინტერესებული ადამიანები და ინტერესთა ჯგუფები. განხილულ თემებს შორის იყო:

- საქართველოს ნატოში ინტეგრაცია;
- პოლიტიკოსები NDI-ს კვლევაში;
- საფრანგეთის პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში;
- რუსთავი 2-ში საკადრო ცვლილებები და ფარული მოსმენები;
- საკონსტიტუციო ცვლილებები;

- პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამები/პარტიების საარჩევნო სამზადისი;
- ქუჩის მართლმსაჯულება;
- ასოცირების ხელშეკრულება;
- პრემიების სკანდალი;
- დამოუკიდებელი კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამა;
- თვითმმართველობის და კომუნიკაციის მარეგულირებელი კომისიის არჩევნები.

ჟურნალისტები გადაცემაში საკმაოდ აქტიურად იყვნენ ჩართული, სტუმრების მიმართ სვამდნენ საკმაოდ მომთხოვნ და მწვავე კითხვებს, ჩამიების გზით ცდილობდნენ ინფორმაციის მიღებას და აქტიურად აფიქსირებდნენ საკუთარ პოზიციას თემების ორგვლივ. გადაცემის ფორმატიდან გამომდინარე, გადაცემის პირველ ნაწილში წამყვანები თავიანთი სუბიექტური შეფასებებით განიხილავდნენ მიმდინარე მოვლენებს. მაგალითად, 20 მაისის გადაცემაში, რომელიც ეხებოდა მანესტროს ორგვლივ განვითარებულ მოვლენებს, ჟურნალისტები არხის პოზიციას აფიქსირებდნენ და გარკვეულ რჩევებს სთავაზობდნენ მთავრობის წევრებს.

რაც შეეხება გადაცემის იმ ნაწილს, რომელშიც მიწვეული იყვნენ სტუმრები, წამყვანები აქტიურად ერთვებოდნენ სტუმრებთან ერთად დღის აქტუალური თემის განხილვაში და აფიქსირებდნენ საკუთარ პოზიციებს. ჟურნალისტები საკმაოდ მწვავე ოპონირებას უწევდნენ გადაცემის სტუმრებს, მიუხედავად იმისა, თუ რომელ მხარეს წარმოადგენდა ეს სტუმარი და ხშირად სტუმრისაგან განსხვავებულ მეორე აზრს გადმოსცემდნენ.

წინასაარჩევნო პერიოდთან დაკავშირებით ჟურნალისტები იწვევდნენ სხვადასხვა კანდიდატს. ყველა მიწვეულ კანდიდატთან მათი შეკითხვები საკმაოდ მომთხოვნი და მწვავე იყო. მხოლოდ ერთ შემთხვევაში, როდესაც 14 მაისის გადაცემაში სტუმრად იყო დამოუკიდებელი კანდიდატი ალექსანდრე ელისაშვილი, წამყვანები გამოიჩინებდნენ სტუმრის მიმართ ლმობიერი დამოკიდებულებით და მაყურებელსაც კი მოუწოდეს მისთვის ხმის მიცემა - „მიეცით ხმა, ჩვენ ვუწევთ რეკლამას.“

გადაცემის მიმდინარეობისას არ დაფიქსირებული თემიდან გადაცდენა. ჟურნალისტები ხშირად არ ასახელებდნენ ინფორმაციის წყაროს, ცერდნობოდნენ ე.წ. „გავრცელებულ ინფორმაციას“ ან საკუთარ ვარაუდებს. თოქ-შოუში არ დაფიქსირებულა სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევა. თუმცა, ჟურნალისტები ხშირად იყენებდნენ ხუმრობანარევ და ირონიულ კომენტარებს (მაგალითად, პრემიერმინისტრისა და პრეზიდენტის ურთიერთობის შესახებ 23 მაისის გადაცემაში).

კავკასია

ბარიერი

„ბარიერი“ პოლიტიკური თოქ-შოუა, რომელიც კავკასიის ეთერში კვირაში ოთხჯერ გადის. მაისიდან გადაცემას მხოლოდ ნინო ჯანგირაშვილი უძღვება. „ბარიერი“ სტუმრების სიმრავლით გამოირჩევა. მონიტორინგის ამ პერიოდში გასულ 12 გადაცემაში თითქმის ყველა პოლიტიკური ძალის წარმომადგენელს, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობას იღებენ, ჰქონდათ საშუალება დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრება და წარედგინათ საკუთარი პროგრამა (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, კოალიცია ქართული ოცნება, ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია, ლეიბორისტული პარტია, სალომე ზურაბიშვილი - საქართველოს გზა, არასაპარლამენტო ოპოზიცია - ახალი მემარჯვენეები, თავისუფალი საქართველო, პოლიტიკური გაერთიანება უფლის სახელით - უფალია ჩვენი სიმართლე, პარტია მომავალი საქართველო). გადაცემას ასევე სტუმრობდნენ საპარლამენტო უმრავლესობის და უმცირესობის წევრები, არსამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საზოგადოების სხვა წევრები და ექსპერტები. თოქ-შოუ თემების მრავალფეროვნებითაც გამოირჩეოდა. მონიტორინგის პერიოდში განხილულ თემებს შორის იყო:

- წინასაარჩევნო გარემო და პარტიების საარჩევნო პროგრამები;
- უკანონო მოსმენების შესახებ კანონი და რუსთავი 2-ის ირგვლივ განვითარებული მოვლენები;
- ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებული შიდა პოლიტიკური მოვლენები;
- ქვეყანაში არსებული კრიმინოგენური სიტუაცია;
- სახელფასო დანამატები და პრემიები;
- ქვეყანაში განვითარებული აქტუალური შიდა პოლიტიკური პროცესები;
- აქცია მარიხუანას დეკრიმინალიზაციის შესახებ.

ნინო ჯანგირაშვილი აქტიურად იყო გადაცემებში ჩართული. სვამდა საკმაოდ მომთხოვნ და მწვავე კითხვებს, ხშირად ებიებოდა სტუმრებს, რათა უფრო დეტალური ინფორმაცია მიეღო დასმულ კითხვაზე. არ ფიქსირდებოდა ჟურნალისტის მიკერძოება რომელიმე პოლიტიკური მხარის მიმართ. ჯანგირაშვილი ერთნაირად უწევდა ოპონირებას ყველა სტუმარს და მათგან განსხვავებულ პოზიციას წარმოადგენდა.

რადგანაც გადაცემაში ყოველთვის რამდენიმე სტუმარი იყო, საუბარი ხშირად ცხარე დებატებში გადაიზრდებოდა ხოლმე, ასეთ შემთხვევებში ნინო ჯანგირაშვილი მოუწოდებდა სტუმრებს სიმშვიდისა და ერთმანეთის მოსაზრებების მოსმენისკენ. თუმცა, მცდელობის მიუხედავად, ხშირად ვერ ახერხებდა წესრიგის შენარჩუნებას. იყო შემთხვევები, როდესაც სტუმრები თვითნებურად სცემდნენ ერთმანეთს პასუხს, თავად სვამდნენ შეკითხვებს და არ აცდიდნენ ერთმანეთს საუბარს. ამის გამო გადაცემაში ხშირად ფიქსირდებოდა სტუმრების

ან წამყვანისა და სტუმრების პარალელური საუბარი, რაც საბოლოო ჯამში მაყურებლისთვის ართულებდა გამოთქმული პოზიციების და მოსაზრებების გაგებას.

გადაცემაში ჟურნალისტის მხრიდან არ ყოფილა სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევა. ამასთან, ჟურნალისტი რეაგირებდა სტუმრების მიერ გამოთქმულ სიძულვილის ენაზე. მაგალითად, 14 მაისის გადაცემაში ირაკლი ბათიაშვილმა ახსენა სიტყვა „პედერსტები“, რაზეც ნინო ჯანგირაშვილმა მისცა მას შენიშვნა და კორექტულობისკენ მოუწოდა.

გადაცემა ბარიერის ფორმატი სხვაგვარი იყო 19 მაისს, ორშაბათს. გადაცემა მიჰყავდა ჟურნალისტ ირაკლი კორძიას. გადაცემაში ასევე მონაწილეობდნენ სხვადასხვა მედია საშუალებების წარმომადგენლები, რომლებიც ასევე ჩართული იყვნენ გადაცემაში, სვამდნენ საკმაოდ კრიტიკულ კითხვებს და წარმოადგენდნენ სტუმრის საპირისპირო პოზიციას.

სტუდია სპექტრი

დავით აქუბარდიას თოქ-შოუ „სტუდია სპექტრი“ კავკასიის ეთერში ყოველ დღე გადის. 3-დან 23 მაისამდე პერიოდში 14 გადაცემა გავიდა. დავით აქუბარდია სტუმრებთან ერთად მიმოიხილავდა დღის მნიშვნელოვან მოვლენებს და აგრეთვე არააქტუალურ საკითხებსაც. გადაცემის სტუმრებს შორის იყვნენ მთავრობისა და საპარლამენტო უმრავლესობის წევრები, არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები, არჩევნებში მონაწილე სუბიექტები და მერობის კანდიდატები. შესამჩნევი იყო სტუმრებს შორის ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების რიცხვი. თოქ-შოუში განხილული იყო შემდეგი თემები:

- დევნილების პრობლემა;
- საარჩევნო გარემო და წინასაარჩევნო კამპანია;
- ფარული მოსმენები;
- სამთავრობო სტრუქტურებში გაცემული პრემიები;
- საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა;
- თბილისში არსებული პრობლემები;
- თბილისში უცხოური დელეგაციების ვიზიტები;
- კონსტიტუციური ცვლილებები;
- უკრაინაში მიმდინარე მოვლენები;
- დავით ზურაბიშვილის ესეების კრებულის პრეზენტაცია;
- კოოპერატივების წერილი გაზეთ რეზონანსში;
- მენინგიტის ეპიდემია.

„სტუდია სპექტრში“ განხილული თემები მრავალფეროვანი იყო, თუმცა, ზოგჯერ ნაკლებად აქტუალური. წამყვანი ძირითადად არ ასახელებდა გადაცემის თემას. იყო შემთხვევები, როდესაც ერთი გადაცემის ან ბლოკის ფარგლებში საუბარი ეხებოდა სხვადასხვა საკითხს. შესაბამისად, რესპონდენტებიც და წამყვანიც ხშირად ცდებოდნენ სასაუბრო თემას.

დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც გადაცემაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი მხარე, ხოლო ექსპერტების სტატუსით მოწვეული სტუმრები შერჩეული იყვნენ სუბიექტური კრიტერიუმებით. ამას მოწმობდა წამყვანის კეთილგანწყობა სტუმრების მიმართ და მათთან უშუალო, ფამილარული დიალოგი.

როგორც წესი, დავით აქუბარდია გადაცემის პროცესში ძალიან აქტიურად იყო ჩართული. წამყვანს გადაცემა არაკადემიური სტილით მიჰყავდა: ძირითადად თავის მოსაზრებებს აფიქსირებდა და სტუმრებთან ერთად საკმაოდ „შინაურულ“ გარემოში მსჯელობდა განსახილველ საკითხებზე. აქტიურად გამოხატავდა საკუთარ დამოკიდებულებას პოლიტიკურ პროცესებთან და პოლიტიკოსებთან დაკავშირებით. ხშირად აკრიტიკებდა როგორც დღევანდელ, აგრეთვე ყოფილ ხელისუფლებას, აკეთებდა მოწოდებებს და განცხადებებს პირდაპირ ეთერში. ცალკე აღნიშვნის ღირსია დავით აქუბარდიას დამოკიდებულება ბიძინა ივანიშვილის მიმართ - „ბიძინა ივანიშვილი არი რევოლუციონერი, მართლა გეუბნები, გიგანტური, აი, ეპოქამ მოიტანა რა“ (5 მაისი).

რაც შეეხება წამყვანის დამოკიდებულებას სტუმრებთან, უმეტესად ლოიალურად იყო განწყობილი და ხშირ შემთხვევაში დადებითად ახასიათებდა სტუდიაში მოწვეულ სტუმრებს: „კაი, ძამიკო, კაი“, „რა კარგი ხართ...“; „დიდი პატივისცემით და დიდი სითბოთი ვართ ერთმანეთთან...“ ; „აუ, რა სწორი ხარ?!“ თუმცა, რესპონდენტები ყოველთვის თანაბარ მდგომარეობაში არ იმყოფებოდნენ. ეს დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად ემთხვეოდა ჟურნალისტიკას და რესპონდენტის მოსაზრებები ერთმანეთს. მაგალითად, 20 მაისის გადაცემაში სტუმარს, ქართული ოცნების წარმომადგენელ დავით ფაცაცას თითქმის არ მიეცა საშუალება, საკუთარი აზრი ბოლომდე ჩამოეყალიბებინა. აგრეთვე აღსანიშნავია დავით აქუბარდიას ჩვევა, სტუმარს საუბარი შეაწყვეტინოს იმ მიზნით, რომ საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს და საკუთარი აზრის სისწორე დაუმტკიცოს მას.

გადაცემაში მიწვეული სტუმრებისგან განსხვავებით, რომლებიც ძირითადად არ იყენებდნენ სიძულვილის ენას და არაეთიკურ ლექსიკას, წამყვანი ხშირად იყენებდა არაკორექტულ გამონათქვამებს. რამდენჯერმე გამოიყენა სიძულვილის ენა მიხეილ სააკაშვილის მისამართით „მიშა იყო ტარტაროზი“; „მიშა რომ მოვიდა ეს ოჯახქორი“. იგი ასევე იყენებს სიტყვა „ნაცისტს“ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მისამართით. 9 მაისის გადაცემაში აქუბარდიამ არაბები მოიხსენია როგორც „პროსტინიანი ბიჭები ვიდაცეები [არაბები]“. იგი ასევე არაკორექტულად მოიხსენიებდა პროკურატურას: „ამ პროკურატურას სძინავს თუ კასტრირებას იკეთებს თვითონ რა.“

გადაცემაში ხშირად ისმოდა ინფორმაცია წყაროს მითითების გარეშე. მაგალითად, „მტკვრის კალაპოტიც გაყიდული ყოფილა, გაოგნებული ვარ...“ (6 მაისი). „აყენებენ კამერებს თურმე საბავშვო ბაღებში და პანიკაშია ყველა საბავშვო ბაღი“ (5 მაისი). ჟურნალისტი ხშირად ჰყვებოდა პირად ან გაგონილ ამბებს.

ტაბულა

თეორემა

ტაბულას ეთერში კვირაში ორჯერ გადის თამარ ჩერგოლეიშვილის საავტორო გადაცემა „თეორემა“ (თანაავტორი: სალომე ბარკერი), რომელიც პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ თემებს მიმოიხილავს. მოცემულ ანგარიშში „თეორემას“ ექვსი გადაცემა მოხვდა². თოქ-შოუ იმ პერიოდისთვის აქტუალურ საკითხებს განიხილავს და უკავშირდება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. 3-დან 23 მასამდე პერიოდში განხილული თემები მოიცავდა შემდეგს:

- ანტიდისკრიმინაციული კანონი;
- იყო თუ არა ივანიშვილის ქველმოქმედება პოლიტიკური პროექტი;
- როგორ უნდა აღუდგეს დასავლეთი კრემლის მცდელობას, ადადგინოს საბჭოთა კავშირი და რა უნდა გააკეთოს საქართველომ;
- NDI-საზოგადოებრივი აზრის კვლევა და პოლიტიკური რეიტინგები;
- საქართველოს ხელისუფლების უსაფრთხოების პოლიტიკა;
- გელა ხვედელიძის განაჩენი;
- რუსეთის რბილი ძალა - საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია;
- სამთავრობო ხარჯები;
- ქალთა გახშირებული მკვლევარობები.

გადაცემაში მოწვეული სტუმრები ძირითადად სამოქალაქო სექტორს წარმოადგენდნენ, იყვნენ პოლიტოლოგები, იურისტები, ფსიქოლოგები, ჟურნალისტები, სოციოლოგები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. თოქ-შოუში ჩართვა გაკეთდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ორ წევრთან: გივი თარგამაძესთან, რომელიც ქუთაისიდან, პარლამენტიდან ჩაერთო, და გივი უგულავასთან, რომელიც ნაციონალური მოძრაობის ცენტრალური ოფისიდან საუბრობდა. აღნიშნული ჩართვები 18-20 წუთს გრძელდებოდა და ჩართვის მონაწილეები პასუხობდნენ თამარ ჩერგოლეიშვილის კითხვებს. გივი უგულავას ჩართვა ნაციონალური მოძრაობის ყრილობის დღის ბოლოს მოხდა და მას მიეცა კარგი საშუალება, ესაუბრა პარტიის გეგმებსა და დაპირებებზე.

მოქმედი მთავრობის ან კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლები სტუდიაში სტუმრად არ იყვნენ. მათთან ჩართვაც არ გაკეთებულა. ამაზე წამყვანი აღნიშნავდა, რომ მთავრობის წარმომადგენლები უარს ამბობდნენ სტუდიაში მისვლაზე და ჩართვაში მონაწილეობაზე, ზოგჯერ „იგონებდნენ“ კიდეც მიზეზებს, რომ თავი აერიდებინათ საკამათო საკითხების განხილვისგან. მთავრობის წევრების პოზიცია გადაცემაში ჩართულ სიუჟეტებში თუ ჩანდა, როცა ტაბულას ჟურნალისტები სხვადასხვა თემსთან დაკავშირებულ კითხვებს

² 5 მასის განმეორებით გავიდა 1 მასის გადაცემა.

უსვამდნენ და მათ კომენტარებს წარმოადგენდნენ თოქ-შოუში. ასეთ შემთხვევებშიც უმრავლესობისა და მთავრობის წევრები არც თუ ისე დამაჯერებლად წარმოჩინდებოდნენ.

ამის შედეგად და ამის პარალელურად გადაცემის მთლიანი ხაზი ამჟამინდელი მთავრობის კრიტიკას და ყოფილი მთავრობის მიღწევების ხაზგასმას მიჰყვებოდა. გადაცემის წამყვანი ხშირად გვევლინებოდა, როგორც საკუთარ პოზიციებში დარწმუნებული მხარე და არა როგორც თავისუფალი, ობიექტური ჟურნალისტი. თუმცა, მისი სუბიექტური დამოკიდებულება გამოიხატებოდა საკითხების მიმართ და არა გადაცემის სტუმრების მიმართ. სტუმრების მიმართ დამოკიდებულება მიკერძოებული არ ყოფილა.

თოქ-შოუში მთავრობის კრიტიკასთან ერთად ბიძინა ივანიშვილის უარყოფითად წარმოჩენის შემთხვევებზე გვხვდებოდა. მაგალითად, 22 მაისის გადაცემის მეორე ბლოკში, სადაც საკითხი ქალთა მიმართ ძალადობის გახშირებულ შემთხვევებს ეხებოდა და სტუმრად ამ საკითხთან დაკავშირებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები იყვნენ, ჩერგოლეიშვილმა დასვა კითხვა, უკავშირდებოდა თუ არა გახშირებული შემთხვევები ზოგადად კრიმინოგენული ფონის დამძიმებას. ამ კითხვას მოჰყვა ნაწყვეტი ბიძინა ივანიშვილის ერთ-ერთი პრესკონფერენციიდან, სადაც ტაბულას ჟურნალისტს კითხვაზე პასუხის გაცემისას იგი ამბობს, რომ საყოველთაო ამნისტიის შედეგად კრიმინოგენული მდგომარეობა შეიძლება, დამძიმდეს, მაგრამ მოსახლეობა ამას „გაგებით უნდა მოეკიდოს“ და უნდა „გაიჭიროვს“. ეს ნაწყვეტი თითქოს დასმულ კითხვაზე მიაჩნებოდა მიუხედავად იმისა, რომ შემდეგ დისკუსიის დროს გადაცემის სტუმრები ამნისტიასა და ქალთა მიმართ ძალადობის გახშირებულ ფაქტებს შორის კავშირზე საუბარს შესაბამისი კვლევის ჩატარების გარეშე მიზანშეწონილად არ მიიჩნევენ.

აღსანიშნავია, რომ თოქ-შოუში ხშირად საინტერესო დისკუსია იმართებოდა და მოწვეული სტუმრები მრავალფეროვან მოსაზრებებს გამოთქვამდნენ. თუმცა, წამყვანის საუბრის სტილი საკმაოდ თავისუფალი იყო. კითხვის დასმისა თუ კომენტარის გაკეთების დროს ზოგჯერ ისმოდა ფრაზები: „რამდენად აქვს შანსი ზოგადად ამ პოლიტიკას, რომ... იაფფასიანი მეთოდით მოახერხო დასავლეთის დემონიზება და ქართველ ხალხს ააღებინო ხელი არჩევანზე იმიტომ, რომ ყველანი კაცები გაპიდარასტდებით შედეგად?“, „გლახის ნაამბობი არაა ქალზე, რომელიც გაბოზდა“ (19 მაისის გადაცემა).

ფოკუსი

„ფოკუსი“ ყოველდღიური თოქ-შოუა, რომელსაც სამი წამყვანი ჰყავს: სალომე უგულავა, ნინო მაჭარაშვილი და ირაკლი კიქნაველიძე. ისინი მონაცვლეობით უძღვებიან გადაცემას. მოცემული ანგარიში მოიცავს 3-დან 23 მაისამდე პერიოდში გასულ 17 გადაცემას.

თოქ-შოუში განხილული თემები მიჰყვება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში (3-23 მაისი) რამდენჯერმე განიხილეს NDI-ს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები, ასევე დიდი დრო დაეთმო უკანონო მოსმენების საკითხს. გარდა ამისა, გადაცემა ეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- პოლიტიკური რეიტინგები;
- დავით კუზერაშვილის და ალექსანდრე ნინუას საქმის გამოძიება;
- რუსთავი 2-ში აღმოჩენილი ფარული კამერები
- ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო გეგმები;
- მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები;
- მოახლოებული არჩევნები და ქვეყანაში მიმდინარე პროცესები;
- სასამართლოს გადაწყვეტილება გიგი უგულავასთვის მერობის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ;
- რუსეთის გაფრთხილება და ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა;
- ვირუსული მენინგიტი.

ამ პერიოდს განმავლობაში გადაცემას სტუმრობდნენ როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ისე საპარლამენტო უმცირესობის წევრები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პოლიტოლოგები, იურისტები, ჟურნალისტები და ექსპერტები. გადაცემაში საკმაოდ ხშირად იყვნენ წარმოდგენილნი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები. საპარლამენტო უმრავლესობის წევრები გადაცემებში მონაწილეობდნენ. თუმცა, შედარებით ნაკლები სიხშირით, რაზეც წამყვანები აღნიშნავდნენ, რომ ისინი უარს ამბობდნენ მონაწილეობაზე სხვადასხვა მიზეზით. ამის შედეგად გადაცემაში მეტად იშვიათად საპარლამენტო უმცირესობისა და ნაციონალური მოძრაობის პოზიცია. არჩევნების თემის განხილვისას თოქ-შოუს ერთხელ სტუმრობდნენ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის, ახალი მემარჯვენეებისა და საქართველოს გზის ლიდერები.

გადაცემის სტუმრები ძირითადად თანაბარ მდგომარეობაში იყვნენ. წამყვანების კითხვები ეხებოდა განსახილველ საკითხებს და სტუმრებს აზრის გამოთქმის საშუალება ძირითადად ჰქონდათ. თუმცა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებთან შედარებით ცალკეულ შემთხვევებში იგრძნობოდა მეტი „შეტევა“ უმრავლესობის წევრებზე.

„ფოკუსის“ წამყვანები სიძულვილის ენას ან არაეთიკურ ლექსიკას არ იყენებენ. ასეთი გამონათქვამები არც გადაცემის სტუმრების მხრიდან დაფიქსირებულა.